„ვამტკიცებ“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ჭადრაკის ფედერაციის
პრეზიდენტი ს. სპლომე მელია

აჭარის ჩემპიონატი ჭადრაკში 10,14,18 წლამდე ასაკის ჭაბუკთა და გოგონათა შორის
ქ. ბათუმი , 21.03.- 27.03.2020 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ჩატარების ადგილი: ქ. ბათუმი კომპლექსური სასპორტო სკოლის ჭადრაკის დარბაზი, გორგილაძის 91

ჩატარების სისტემა: ჩემპიონატი ჩატარდება ფიდეს წესებით, შვეიცარული ან წრიული სისტემით 7 ტურად. ტურნირში ფიდე-ს რეიტინგი არ დაითვლება.

აუცილებლობის შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

მონაწილენი: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წევრი ჭაბუკები და გოგონები დაბადებულნი **2010, 2006 და 2002 წლის 1 იანვარს და შემდეგ.**

სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ მიმავლინებელი ორგანიზაციები.

დროის კონტროლი: თითოეულ მონაწილეს 90 წუთი პარტიის ბოლომდე თითოეულ სვლაზე 30წ. დამატებით. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში გამარჯვებულები გამოვლინდებიან კოეფიციენტის შემდეგი სისტემით: 1.ბუჰგოლცი - 1 (1 უდაბლესის გამოკლებით)

2.ბუჰგოლცი (ყველა მეტოქის ქულათა ჯამი)
3. პირადი შეხვედრა
4. მოგებების რაოდენობა
5. პროგრესი (თავისი რეგრესით)

წრიულის დროს : 1. ბერგერი 2. პირადი შეხვედრა 3. მოგების რაოდენობა

აუცილებლობის შემთხვევაში დაინიშნება 2 დამატებითი პარტია (15 წუთიანი). ყაიმის შემთხვევაში გაგრძელდება პარტიები პირველ გამარჯვებამდე.

რეგისტრაცია:

მონაწილეებმა რეგისტრაციისას უნდა გადმოაგზავნონ დაბადების მოწმობის ასლი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2020 წლის საწევროს გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი 2020 წლის 20 თებერვლის 18.00 საათამდე:

ქეთევან მუხაშარია - ელ-ფოსტა - chessketevan@mail.ru მობ: 593 302 158

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2020 წლის 20 თებერვლის 18.00 საათი.

რეგისტრაციის ბოლო ვადის დარღვევის შემთხვევაში ორგანიზატორს უფლება აქვს არ დაარეგისტრიროს მოჭადრაკე, რომელმაც დაარღვია რეგისტრაციის ვადები.

ჩემპიონატში მონაწილეობისთვის აუცილებელია საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის 2020 წლის საწევროს -- 24 ლარის შეტანა შემდეგ ანგარიშზე საიდ. კოდი: 245424704 ს.ს.'' საქართველოს ბანკი'', მფო BAGAGE22 ანგარიშის № GE95BG0000000363099200

ტურნირის განრიგი:

ტური	დღე	დრო
I ტური	21 მარტი	15:00
II ტური	22 მარტი	15:00
III ტური	23 მარტი	15:00
IV ტური	24 მარტი	15:00
V ტური	25 მარტი	15:00
VI ტური	26 მარტი	15:00
VII ტური	27 მარტი	15:00

მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით ორგანიზატორი უფლებამოსილია მოახდინოს ტურნირის დაწყების დროის (საათი) შესაბამისი კორექტირება.

საერთო წესები:

ტურის დაწყებიდან ერთ საათზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.

ნებისმიერ მონაწილეს უფლება აქვს გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში, რომელიც არჩეული იქნება აწარის ჩემპიონატის გახსნის ცერემონიაზე.

მონაწილე ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად აჭარის ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 20 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

გამარჯვებულები: - I, II, III საპრიზო ადგილებზე გასული მოჭადრაკეები აჭარის სპორტის დეპარტამენტისა და აჭარის ჭადრაკის ფედერაციის მიერ დაჯილდოვდებიან მედლებით და დიპლომებით, ხოლო აჭარის 10,14,18 წლამდე ასაკის ჩემპიონი ჭაბუკი და გოგონა დაჯილდოვდება აგრეთვე თასით და მივლინებული იქნება ქ. თბილისში შესაბამისი ასაკის მოჭადრაკეთა საქართველოს ჩემპიონატზე.

არასაპატიო მიზეზით ტურნირის მიტოვების შემთხვევაში მონაწილე დისკვალიფიცირებული იქნება საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის ბრძანების (#10. 20/01/2014 წ.) შესაბამისად.

ტურნირის დირექტორი: აჭარის ჭადრაკის ფედერაციის გენერალური მდივანი ქეთევან მუხაშარია.